№ 182

1877—1897

№ 182

ხუთშაბათი, 4 სექტემბერი, 1897 წ.

# ივერია

ხუთშაბათი, 4 სექტემბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ღირს 4 მან. 75 კაპ.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—23)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

მ. ლალიძის გამოცემული

ახალი თხზულება-პოემა

აკაკისა

## ნათელა

(ძველებური ამბავი)

წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.

ფასი თითო აბაზი.

ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20°/₀. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—9)

### მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნენ: ავარის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ჯავახიშვილი—გუნიბის ოლქის უფროსად; გუნიბის ოლქის უფროსი თავადი ვახვახიშვილი—თემირ-ხან-შურის ოლქის უფროსად.

გამწესებულ იქმნა: სოფ. კვლდის სკოლის მასწავლებელი აზნ. ნიკოლოზ ჯავახიშვილი—სამაზრო მმართველობის კანცელარიის პირველი ხარისხის მოხელედ და იმავე სამმართველოს არხივის გამგედ.

—◆◆—

## ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ-წინ, 2 სექტემბერს, ქალაქის გამგეობამ ხელ-ახლად სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება მოგვეცით კუკიაში უფასო სამკურნალო დავაარსოთო, რადგანაც არსებული სამკურნალო თავისის ორის განყოფილებით ვერ ასდის აუარებელს ავადმყოფთაო.

⁂ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მეურნეობის სამინისტრომ მცოდნე კაცები გაჰგზავნა არაგვის ხეობაში იმის გამოსაკვლევად, სად უფრო მოსახერხებელია თევზის გამშენებელ ქარხანის გამართვა. კავრაისკიმ და პსარევმა, რომელნიც ამ საქმისთვის იყვნენ გაგზავნილნი, ასეთ ადგილად გუდამაყრის ხეობა სცნეს, საქართველოს სამხედრო გზის სადგურის ფასანაურიდგან ორის ვერსის სიშორეზედ.

⁂ ლანჩხუთის სამრევლო სკოლის მასწავლებლისაგან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 45 მან. მიუღია და სთხოვს, რომ მიკროსკოპი გაუგზავნოს, რადგანაც აბრეშუმი მზად არის და თესლი უნდა ამოიღონ.

⁂ უმართებულესს სენატს განუმარტავს, რომ ებრაელთა გათხოვილს ქალებს, რომლებსაც გათხოვებამდე ნება ჰქონდათ სადაც ჰსურდათ, იქ ეცხოვრათ, გათხოვების შემდეგაც არ ეკარგებათ ეს უფლება, თუნდაც ისეთს კაცს მისთხოვდნენ, რომელსაც ეს უფლება არა აქვსო.

⁂ კავკასიის სამკურნალო წყლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განზრახულია, სხვათა შორის, დაბები კისლოვოდსკი და ჟელეზნოვოდსკი ქალაქებად იქმნენ გადაკეთებულნი და მარტივი საქალაქო დებულება მიენიჭოთ.

⁂ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ტფილისში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმის გადასაწყვეტად დეპარტამენტის დირექტორის დეის. სტ. სოვეტ. ხომიაკოვისათვის მიუნდვია ადგილობრივ საქმის განხილვა, მართლა შეიძლება თუ არა ტფილისში აღნიშნული სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ბ-ნი ხომიაკოვი ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში.

⁂ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ ფინანსთა მინისტრისაგან წინადადება მიიღო იმის შესახებ, რომ ადგილობრივს ბანკებსა და საბანკო სახლებთან მოლაპარაკება იქონიოს, რომელთაც ხალხში ოქროსა და ვერცხლის ფულის გავრცელების საქმეს ხელი უნდა შეუწყონ და სახელმწიფო ბანკის მიერ შემუშავებული საშუალებანი მიიღონ. ამისათვის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე ყველა ადგილობრივ ბანკების წარმომადგენლებს იღებს და აღნიშნულის საგნის შესახებ მოლაპარაკება აქვს.

⁂ წლიური სვიის ბაზრობა ვარშავაში 13 სექტემბერს დაიწყება და ათს დღეს გასტანს. სვიის გაგზავნა 5 სექტემბრიდგან შეიძლება.

⁂ კავკასიის ერთ-ერთს მამულში ამ წელს საუფლისწულო უწყება ვარდის პლანტაციის გამართვას თურმე აპირებს. ამ აზრით, ვაზის ყლორტები ბოლგარიიდგან გამოუწერია საუფლისწულო უწყებას (სახელდობრ ყაზანლიკადგან).

⁂ ფინანსთა სამინისტროს გაუწერელ ხარჯების განყოფილების გამგეს თანაშემწე ა. ვ. ლევიცკი კავკასიაში გამოუგზავნია, რომ დაწვრილებით და დაახლოვებით გაიცნოს ნავთისა და ნავთის მრეწველობის საქმე.

⁂ მომავალის წლიდგან ფოსტით ფულის გაგზავნა, მიუხედავად გაგზავნილ ფულის რაოდენობისა, იმავე რიგითა და წესით იქმნება, როგორც ახლა ამ ბოლოს დროს შემოიღეს, ე. ი. ფული ჩაჰბარდება ადგილობრივს საფოსტო განყოფილებას და დანიშნულს ადგილას პატრონი საფოსტო ბარათით მიიღებს.

⁂ სხვა გამოფენათა შორის განზრახვა თურმე აქვთ პეტერბურგში კავკასიის სიძველეთა გამოფენა გამართონ.

⁂ მიკოლოგ იაჩევსკის, რომელმაც ამას წინად კახეთისა და ქართლის ვენახები დაათვალიერა, ქუთაისის გუბერნიაშიაც აღმოუჩენია ბლეკროტი. ეს ავად-მყოფობა საქარის სანერგეში უნახავს.

⁂ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ კავკა-

## ფელეტონი

—

### ბ-ნი შ. არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდები.

(შემდეგი *)

ეტიუდში: „წერილის ნაგლეჯი" („კვალი" № 3 1897 წ.) აი რაებს ეუბნება ვიღაც ტეტიასთანა გაჩაილჰაროლდებულივე ახალგაზდა თავისს სატრფოს: „შენს მეტი ამ ქვეყნად არავინ არის ჩემთვის, შენა ხარ ჩემი ყველაი; მაგრამ... წყეულიმც იყოს ეს „მაგრამ", რომ დაუპატიჟებელი სტუმარია!.. მაგრამ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ ან მაგონდები. როდესაც-კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინაალმდეგ არა მაქვს რა, მაშინ... მაპატივე ჩემო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას ამ ჟამად" და სხვა.

ზემოდ ვთქვი, რომ კაცის, როგორც ცოდვილის, ან როგორც ცხოველთა შთამომავალის, გულში შეიძლება დაიბადოს ცხოველური ფიქრები, მდაბალნი გრძნობანი, უმზგავსნი მისწრაფებანი, მაგრამ იმითი და მხოლოდ იმითი გარდაქმნა ხელოვნების საგნად დიდი შეცდომა არის-მეთქი. ხოლო შეცდომა-კი არა, დიდი დანაშაულია, როცა ჰქადაგებს ვინმე, ყველა ეს საზოგადო მოვლენაა და არავინ არ არის თავისუფალი ამათგანო. სასაცილოა განა? წარმოიდგინეთ, ვინმე ბინძური თავმომწონედ გაიძახოდეს, აი, მე ტილები მასევია, მაგრამ რა ვუყოთ, თქვენც ყველას ტილები გასევიათ და ჰმალავთ, მე-კი აშკარად ვამბობ ამასო. რა უნდა უთხრათ ამისთანა სულელს? რომ დაუმტკიცოთ, რომ თქვენ ტილები არ გასევიათ, უნდა გაიხადოთ ტანთ-საცმელი და თითოეულად გაასინჯვინოთ, უამისოდ ის არ დარწმუნდება. მაშინც-კი შეუძლიან გითხრათ, ახლა არ გასევიათ, მაგრამ გუშინ გესიათ, ან ხვალ დაგესევათო. რასაკვირველია, ჩვენც დაგვესევა ტილები, ბატონო ტილიანო, თქვენსავით უწმინდურად რომ ვცხოვრობდეთ და არ ვებრძოდეთ ტილების შემოსევას, რაც არც ისე ძნელია სიფაქიზეს მიჩვეულ და სიწმინდის მოყვარულ ადამიანისთვის!

ბ-ნი არაგვისპირელის გმირიც სწორედ ამ ტილიანსავით გაიძახის: „რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გამოურკვევლად მრჩება და ჩემთვის გაუგებრად რჩება ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია, იმათი ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ან იქნება მე ვარ ამგვარი ბუნებისა და სხვები კი არა. ნეტავ მაგრე იყვეს, მაგრამ... ფუი, კიდევ მაგრამ წამოიჩხირა!.. ყველამ რომ ასე გულ-წრფელად ილაპარაკოს, როგორც მე შენ გელაპარაკები (სატრფოსა სწერს), მაშინ, მგონია, ყველა ამას იტყოდა.." წადით და ელაპარაკეთ ამისთანა ტილიანს ადამიანს! მე პირუტყვი ვარ, რადგან რამდენ ლამაზს ქალსაც ვნახავ, ყველას გამო გულის თქმა მებადება, და ამიტომ სხვებიც ყველანი ჩემსავით პირუტყვები არიანო. ჩვენკი ასე გვეგონა დღემდის და გვრწამდა კიდეც, რომ თუ მართლა ჭეშმარიტი სიყვარულია ქალსა და კაცს შუა, ისინი მხოლოდ ერთმანეთის ფიქრში არიან, რომ ერთსა და იმავე დროს ადამიანი, თუ ის პირუტყვი არ არის, რასაკვირველია, ვერ შეიყვარებს ორ სხვა-და-სხვა არსებას; რომ ჯერ ერთის სიყვარული უნდა ჩაჰქრეს და მეორე მხოლოდ შემდეგ შეიძლება დაიწყოს; რომ „იდეალურს სიყვარულს, რომელსაც პოეტები გვიხატავენ" ხშირად შევხვდები თვით ცხოვრებაშიაც და სხვა-და-სხვა და ბ-ნი არაგვისპირელი-კი თავისის გაპირუტყვებულ გმირის პირით გვარწმუნებს, შემცდარი იყავითო. როგორ თუ შემცდარი ვიყავით? დანტე, ტორკვატო ტასსო და სხვები განა გულ-წრფელები არ არიან, როცა თავიანთ იდეალურ სიყვარულის შესახებ ლაპარაკობენ? განა მთელი იმათი ცხოვრება არ ამტკიცებს, რომ, მაგალითად, პირველს ბეატრიჩე და მეორეს ლეონორა უყვარდათ გულ-წრფელად; უყვარდათ ისე, რომ მთელი სიცოცხლე არ უღალატნიათ იმათის სახელისათვის?.. მაგრამ სად შეუძლიან ბრბოს, რომელიც შესჩვევია სიბნელეს, მზის დიადი ბრწყინვალება გაითვალისწინოს? სად შეუძლია სიბინძურეში ჩაყურყუმალებულ ადამიანს, რომლისთვისაც ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარან ტილები, მიხვდეს, რომ არიან, ყოფილან და კვლავაც იქმნებიან იმისთანანი, რომელთაც, შეიძლება, მთელს მათს სიცოცხლეში ერთი ტილიც არ დასჯდომოდეთ? არც გაპირუტყვებულ ადამიანს შეუძლიან იმისი გაგება, რომ ყველანი იმასავით გაპირუტყვებულნი არ არიან; ბევრს არც-კი სცალიან იმისთვის, რომ ვნებათა ღელვას გაეტაცებინოს და ხშირად ამ გრძნობას იმის გულში არც-კი აქვს ადგილი, ისე არიან გართულნი საქმესა და იმ საგნის სამსახურში, რომელიც ცხოვრების საგნად გაუხდიათ!..

ეტიუდში: „ღირსი ვარ ამისა, ღირსი!.." (მოამბე" № III, 1897 წ.) გამოყვანილი გმირი სულ უკიდურესობამდე მიდის თავისის ლათაიებით. იმას რაღაც დანაშაული ჩაუდენია და საზოგადოებასაც დაუსჯია იგი. „მე განვიზრახე თავის მოკვლ

*) იხილეთ „ივერია" № 180.

სიაში გამოგზავნილი მიკოლოგოსი ბ-ნი იაჩევსკი ქუთაისის გუბერნიაში ვენახების გასინჯვის შემდეგ ბათუმს წავა, რომ ჩაქვაში ჩაის მცენარეები გასინჯოს, რომელთაც ამ ბოლოს დროს ავადმყოფობა აღმოაჩნდა.

⁂ გარდაწყვეტილია მომავალ წლის 1-ლ იანვრიდგან კავკასიის ყველა ქალაქში საკომლო გარდასახადის ნაცვლად, სახელმწიფო გარდასახადი იქმნას შემოღებული ქალაქის უძრავ ქონებაზედ. აღნიშნული გარდასახადი ამ რიგად გადახდებათ: კავკასიის ყველა ქალაქში შესდგება ამისათვის საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც გარდასახადთა ინსპექტორები იქმნებიან დანიშნულნი. კომისიაში ორიდგან ექვსამდე უძრავ ქონების პატრონი იქმნება ამორჩეული, რომელთაც თითონ ქალაქის საბჭო დაჰნიშნავს. აი, ეს კომისია გაანაწილებს გარდასახადს ქონების ღირებულობის მიხედვით; ამ საგნისათვის საჭირო ხარჯი ქალაქებს დაეკისრება.

რადგანაც გარდასახადთა შესაკრებადა და გასანაწილებლად საჭირო ხარჯი ქალაქის თვითმართველობამ უნდა გაიღოს, ამისათვის, გუბერნატორის წინადადების თანახმად, ქალაქის გამგეობას ამ დღეებში მოლაპარაკება ჰქონდა იმის შესახებ, თუ ქალაქისათვის როგორ უფრო სახეირო იქნება, რომ ეს გარდასახადი გაიწეროს და შეიკრიბოს.

რადგანაც ხელ ახლად ქალაქის ქონებათა გადაფასება მცხოვრებთ ძალიან დიდს ხარჯს მისცემს, ამას დასჭირდება 30,000 მან., ამისათვის გამგეობამ საჭიროდ სცნო შუამდგომლობა დაიწყოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ ქალაქის ქონებათა ღირებულობა ქალაქის დაფასების მიხედვით იქმნას დადგენილი, და ამას იმ მოსაზრებით ასაბუთებს, რომ ქალაქის დაფასება სრულიად ეთანხმება ქონებათა ნამდვილს ღირებულობას.

ამისათვის ქალაქის გამგეობას პროექტი შეაქვს კომისიის ხარჯად გარდასახადის გასანაწილებლად 600 მან., დანიშნოს (კანცელარიისა და წასვლა-წამოსვლისათვის) და 2,000 მან. ქალაქის ფულიდგან გადასდოს საქმის წარმოებისა და ანგარიშებისათვის აღნიშნულ გარდასახადის შეკრების დროს.

⁂ პეტერბურგის თავისუფალს საეკონომიო საზოგადოებას მიუმართავს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვისა და აგრეთვე რუსეთის ყველა ამ გვარ საზოგადოებათათვის და უთხოვნია, აცნობონ, თუ რა ადგილობრივი მოსაზრებანი უნდა იქონიოს აღნიშნულმა საზოგადოებამ სახეში, რომ რუსეთში ხორბლეულისა და სხვა სანოვაგის რკინის გზითა და ზღვით გადატან-გადმოტანის საქმე გაადვილებულ იქმნას და არაფერი არ აბრკოლებდეს საჭიროების დროს ამ საგნების საზღვარ-გარეთ გატანას.

⁂ „ახ. მიმ.“ სწერენ პეტერბურგიდგან, რომ აქ როტშილდის საბანკირო სახლის წარმომადგენელი მოვიდა ლონდონიდანაო, რომელსაც აზრადა აქვს შეადგინოს ახალი სააქციონერო საზოგადოება, კავკასიის მარგანეცის (შავის ქვის) საწარმოებლად.

⁂ დაბა ხონი. კვირას, 24 აგვისტოს, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს წევრის აკიმოვის თანადასწრებით მოხდა ჩვენში მამასახლისის ხელ-ახლად ამორჩევა. წინანდელს არჩევანებზედ ზოგიერთ ამომრჩეველთ საჩივარი შეიტანეს და ეხლა იმიტომ იქმნა დანიშნული ახალი არჩევნები.

⁂ გაზ. „ჩერ. ვესტ.“-ს სწერენ გუდაუთიდგან: „დღეს, 28 აგვისტოს, ციმბირიდგან გამოქცეული, მთელ აფხაზეთში ცნობილი ფირალი გაბისონია ხელ-ფეხ შეკრული სოფ. აჭანდარიდგან გუდაუთში მოიყვანეს. აი როგორ შეიპყრეს გაბისონია: მას შემდეგ, რაც მან გუდაუთის ნაწილის უფროსი ჩიქოვანი დასჭრა, აღარავის ენდობოდა და იმისდა მიუხედავად, რომ ავად იყო, ტყეში დადიოდა. მაგრამ ბოლოს ავადმყოფობამ აიძულა თავისს ნათლიასთან თავ. ა—სთან წასულიყო და შემწეობა ეთხოვნა. თავადმა დაარწმუნა, არ გაგცემო და გაბისონიაც ყოველ დღე დადიოდა იმასთან. 28 აგვისტოს, როდესაც გაბისონიამ იარაღი აიყარა, თავადი და იმასთან ერთად სხვებიც დაეცნენ და უცბად შეუკრეს ხელ-ფეხი. შემდეგ აცნობეს ეს ამბავი გუდაუთის ნაწილის გამგეს ბ-ნ სტაროსელსკის, რომელიც მაშინვე მოვიდა და ყაზახებითა და ჩაფრებით გაბისონია გუდაუთაში წაიყვანა“.

⁂ „კავკაზის“ სიტყვით, ამ წლის დეკემბერს ტფილისში მოხდება კრება ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა. კრებაზედ განხილულ იქმნება სხვათა შორის ისიც, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული ავაზაკობის მოსასპობად ჩვენს ქვეყანაში.

⁂ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ბ-ნის მ. დემინისა:

27 აგვისტოს, საღამოს 3 საათზე, გამოვედით სოფ. სართიჭალიდგან მე, მეფურგუნე დ. ეგლე და ქნი მ. ალტი. დ. ლაჩინოში პატარა ხანს შევისვენეთ ერთ დანგრეულ დუქანში და მერე გაუდექით ისევ გზას. დაბა ლაჩინოში შემოგვიერთდა ერთი ქართველი მეფურგუნე, რომელსაც ვიღაც მოხუცებული ქალი მოჰყავდა. გამოვედით თუ არა დაბიდგან დაგვეწივნენ საყარაულოსაკენ მიმავალი ჩაფრები. გავცდით სად. ვაზიანს და უახლოვდებით ჩაფრების საყარაულოს, უცებ გზის მახლობლივ მჯდომარე ორ კაცს თვალი მოვკარით და დავინახეთ რამდენიმე ცხენი. გავიარეთ ცოტა კიდევ და დაგვეცა თავს რამდენიმე შეიარაღებული თათარი, დაგვიწყეს გინება და შემოგვიტიეს, ფურგუნი გააჩერეთო. მეფურგუნე უმალ გადმოხტა და გაიქცა საყარაულოსაკენ, იქნება ვერ შემამჩნიეს და შევატყობინებ ყარაულებსაო, მაგრამ იგრიალა თოფმა და მეფურგუნე მიწაზედ გაიშხლართა. ჩვენ, გულებ გახეთქილებმა, სული გავნაბეთ და ველოდით ბედის გადაწყვეტას. ყაჩაღებმა გადაიყვანეს ორივე ფურგუნი გზის იქით, დაგვიწყეს ფულის თხოვნა და თან ჩხრეკავდნენ ნივთებს. რაკი ძვირფასი ვერა ნახეს-რა და ფულიც მაგდენად არაფერი გვქონდა და ვერა წაიღეს-რა, ადგნენ, ცხენები გამოუშვეს, შესხდნენ და გასწიეს. სულ იქვსი კაცი იყო შეთოფ-იარაღებულნი. ჩვენ პირველ ხნობით არ ვიცოდით რა გვექნა, ბოლოს როგორც იყო მოველით გონს, დავიძარით მახლობელ სოფლისაკენ და შევატყობინეთ ჩვენი თავგადასავალი. სოფლის ხალხიც შეიარაღდა რითაც მოჰხვდათ, გასწიეს ფურგუნებისაკენ, მაგრამ ვიღასა ჰნახავდნენ. დაჭრილმა ერთი დღე კიდევ იცოცხლა და გარდაიცვალა. საკვირველია, რომ ჩაფრებმა ყველა ეს ამბავი ერთი საათის შემდეგ ძლივს გაიგეს, მაშინ, როდესაც მუდამ უნდა დადიოდნენ და ათვალიერებდნენ გზას.

⁂ სად. ბელაგორი. 2 სექტემბერს საღამოს 6 საათსა და 30 წამზედ, მე-144 ვერსზედ, სადგ. ბელაგორსა და მარელისს შუა ლიანდაგი ჩახრამა ნიაღვარმა ასე 15 საჟენის მანძილზედ და მატარებლის მიმოსვლა ამ ორს სადგურს შუა შესწყვიტა. გზა მხოლოდ 3 სექტემბერს შეიძლება გაიწმინდოს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ცხინვალი**, 29 აგვისტო. მეცნიერებამ მიიკვლია და დღეს თურმე შესაძლებელია კუზიანების გასწორება, მაგრამ-კია ვგონია დღეს ან ხვალ შეიძლებოდეს დ. ცხინვალის გასწორება. ეს ისევ დარჩება ძველის თავის ტყაპუჭში. ამას წინად მოგახსენებდით ერთის წერილით, რომ ცხინვალის სამკითხველოს სული ხდება და დღეს თუ ხვალ გამოესალმება წუთი-სოფელსა-მეთქი და მართლაც ასრულდა ჩვენი წინად გრძნობა—იგი დღეს აღარ არსებობს და ნეტა ვიცოდეთ, რას ჰფიქრობენ დამფუძნებელნი და მზრუნველნი წევრნი, ან საზოგადოება?!.. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ცხინვალს გარემო ახვევია, სულ რომ ცოტა, ოცამდე ოჯახი თავად-აზნაურისა, რომელთაც ადვილად შეეძლოთ მისი გაძღოლა, მაგრამ, მაგარი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ ისევ საღრმოს ძილითა სძინავს ჩვენს საზოგადოებას. თუ ეს ასე არ არის, მაშ რას მიაწეროთ ასეთი უყურადღებობა საქმისა?!.. დროა, დროა, ბატონებო, ერთიერთმანეთის მტრობას, პირადს „მე“-ს თავი დავანებოთ და მივხედოთ საერთო საქმეს.

დღემდის ხალხს გული უსკდებოდა ყაჩაღებისაგან და შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა, დღეს იმათაც მოვლეთ ბოლო, ისევ ჩვენის ბზნავის-ხალხისაგან, თორემ პოლიციის იმედი ამ შემთხვევაში დიდი არ არის.

რომ მობრძანდეთ ჩვენს სოფლებში, ფეხს ვერ აუქცევთ ურიას გაჭარს მეწვრილმანეს, რომელნიც ამ დროს დაძრწიან სოფლად და ატყუებენ ხალხს. არა აქვთ სასწორი, დაუჭრიათ პატარ პატარა ნაჭრებად საპონი, ასაღებენ ბეჩავ-გაუგებელ ხალხზედ გირვანქად მაშინ, როდესაც თითო ნაჭერი ნახევარ გირვანქაც არ გამოდის, ამ გვარის სპეკულიაციის მოწმე რამდენჯერმე თვით ამ სტრიქონის დამწერი გახლდით, გავისტუმრე კიდეც სარგებლით მატყუარა გაჭარი, მაგრამ მუდამ და ყოველთვის ჩვენ სად შევესწრებით. ეს საქმე გახლავთ პირდაპირი მოვალეობა მამასახლისისა, მაგრამ დღეს ჩვენ ცხინვალის მხარე ამ მხრივადაც სრულნი არ გახლავართ. ამას გარდა, კიდევ მოსთვლის რამდენი რამ უწესობაა ჩვენში. სხვათა შორის, აქაური გამომცხვარი ამირდის მეპურის პური ოთხ ფეხს არ აჭმევს, ისეთი მჟავეა და მაღლზედ ცომი. რას აკეთებენ ადგილობრივ ან ბოქაული, ან მამასახლისი, არ გვესმის. ნუთუ მარტო ხიდზედ სეირნობაა საჭირო?...

რაჲე და ფარი

**ს. ჭიათურა.** (შორაპ. მაზრა). აწ განსვენებულმა შავის ქვის მწარმოებელთა ამხანაგობამ „კავშირმა“ თავის დაბადებისათანავე ჭეშმარიტის აზრების გან-

---

იმისთვის, რომ საზოგადოებამ მიცნო, რა კაციც ვიყავი, და ამისთვის შევზიზღდი, ფურთხება დამიწყო“-ო, ეუბნება იგი ავტორს ეტიუდისას, ბ-ნს არაგვისპირელს, როცა ავტორმა ყურადღება მიაქცია იმისს ტანჯვას (ამბავი ხომალდის ბაქანზედ სწარმოებს გათენების ხანს, სადაც გმირი ეტიუდისა თავის მოსაკლავად ასულა და ავტორი-კი „ზღვაზედ მზის ამოსვლის“ სანახავად) და თანაგრძნობით გამოელაპარაკა. დიახ, თავის მოკვლა განიზრახა ამ ვაჟბატონმა, მაგრამ ბოლოს უარ ჰყო თავისი განძრახვა, საზოგადოებისაგან „ფურთხის“ მიღება არჩია სიკვდილს (ხომ ნამდვილი ბ-ნი არაგვისპირელისებური გმირია, რომელიც, როცა აქტიური მოქმედებაა საჭირო, უკან იხევს და როცა ლაპარაკზედ მივა საქმე, პრტყელ-პრტყელს ფრაზებს ერთი მეორეზედ ისვრის?) და გადასწყვიტა უკანვე დაბრუნება თავის დამსჯელ საზოგადოებაში.

როგორც ჰხედავთ, აქ საკვირველი არაფერია: კაცმა დანაშაული ჩაიდინა, საზოგადოებამ შერისხა ამ დანაშაულისათვის და ისიც ჯერ გაიქცა, უნდოდა განშორებოდა საზოგადოებას და თვის მოკვლაც-კი განიზრახა, მაგრამ შემდეგ გადასწყვიტა, უკანვე დაბრუნდეს. დიახ, ჩვენის გმირის მოქმედებაში არა არის რა საკვირველი, მაგრამ ჰნახეთ ახლა მისი ნალაპარაკევი, თუ განცვიფრებაში არ მოხვიდეთ! „რა მხეციც გინდა აიღო, რა ცხოველიც უნდა იყოს, რა სულდგმულიც უნდა დაასახელოთ, ყველა თავის თავს ემზგავსება ყოველთვის... ადამიანი-კი წარმომადგენელია ყოველგვარის ცხოველისა, მასში ყოველგვარი მხეცია მოთავსებული, და შეუძლიან ყოველგვარი მხეცობა, სისაძაგლე ჩაიდინოს, რა მხეცს დამისახელებ, რომ ადამიანი, თუ-კი გარემოება ნებას აძლევს, არ დაემზგავსოს?! არა?! ჰა!.. ეკითხება ის ავტორს, რომელიც „პასუხად თავს უქნევს“!.. ეთანხმება, როგორც ყოველთვის ეთანხმება ხოლმე თავისს გმირებს. „ჰო-და მაშ რა არის ადამიანი?“.. განაგრძობს ისევ ის მხეცთა-მხეცი... მაგრამ ამ მხეცთა-მხეცობას, თავისს სისაძაგლეს ჰმალავს, ჰმუჰვნის და ისე უფრთხილდება ამის გამომჟღავნებას, როგორც თვალის სინათლეს, თვალის ჩინს... ბევრ სისაძაგლეს, ბევრ საზიზღრობას ჩაიდენს, მოიმოქმედებს კაცი, რომლის მოწამეც თითონ მხოლოდ თითონ არის და სხვა არავინ... შეიძლება თავის ცხოვრებაში არავითარი სისაძაგლე არა ჩაედინოს-რა, მაგრამ განზრახვით-კი, მერწმუნე ბევრი ნისაძაგლე განუზრახავს, და ეს ხომ სულ ერთია!“.

ჯერ ერთი უნდა მოვაგონოთ ჩვენს სიტყვა-წყლიან ორატორს, როს ის ერთობ აჭარბებს და სრულიადაც არ არის სულ ერთი, რაიმე ცუდის მხოლოდ განზრახვა და მისი სისრულეში მოყვანა. მაგალითად, თქვენ ჰხედავთ მშვენიერ ახალგაზდა ქალს მარტოდ. იმ წამსვე პირუტყვული გრძნობა იღვიძებს თქვენს გულში და ჰფიქრობთ, რა ბედნიერება იქმნებოდა ამ ქალის ხელში ჩაგდება ჟინის მოსაკლავადაო, მაგრამ თქვენი გონება, თქვენი კაცური კაცობა მაშინვე გატოვებინებთ ამ ფიქრს და ამ ნაირად თქვენში კაცი სძლევს პირუტყვს, აქ ცუდი არავისთვის არაფერია, ხოლო, როცა თქვენ ეძლევინებით თქვენს გულში აღძრულს პირუტყვულს გრძნობას და ნებით, თუ ძალით, სისრულეში მოგყავთ თქვენი სურვილი, აი, ეს არის სისაძაგლე, ეს არის საზიზღრობა, რადგან ამითი ამტკიცებთ, რომ თქვენ არსებაში პირუტყვული უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე კაცური, ბ-ნ არაგვისპირელის გმირი-კი გაიძახის: „ეს სულ ერთიაო“!.. კიდევ ვიტყვი, რომ ადამიანი ცოდვის შვილია, ან პირუტყვთა შთამომავალია და ამიტომ ხშირად გაუელვებს ცოდვა, ან პირუტყვული ფიქრი, მაგრამ ადამიანი კიდეც იმიტომ არის ადამიანი, რომ შეებრძოლოს ამ სისაძაგლეს და სათავეშივე მოსპოს!.. ჩვენ ასე გვეგონა დღემდის და დღეს-კი ბ-ნი არაგვისპირელი თავისის გმირის პირით გვეუბნება, აა, თქვენ ხომ განიზრახეთ სიავე, თქვენც იმისი ამხანაგი ხართ, ვინც სიავეს იდენს და არავითარი განსხვავება არ არის თქვენსა და იმის შორისო! ჩვენ დღემდის დიდ-ბუნებოვან არსებად ვსახავდით იმისთანა ადამიანს, რომელშიაც მოხდებოდა ბრძოლა პირად სიამოვნებასა და საზოგადოებრივ მოვალეობას შორის და უკანასკნელი სძლევდა პირველს, დღეს-კი გვეუბნებიან, ეგეც იმისთანავე ავაზაკია, როგორიც ის, ვინც მზად არის თავისს პირადს სიამოვნებას ყველაფერი უმსხვერპლოსო! არა, ბატონო, სცდებით, რადგან კაცი ციდგან ჩამოსული უსხეულო სული, უმანკო ანგელოზი კი არ არის, რომ თავისს დღეში ცუდი არა გაიფიქროს-რა, იგი მიწიერი არსებაა, მხოლოდ ღვთიური სული აქვს ჩაბერილი, ჭკუითა და გონიერებით არის მოცული, სინიდისით არის გამშვენიერებული და ამიტომ ვნებათა ბრძოლის დროს, როცა ამ ბრძოლაში პატიოსნება იმარჯვებს უპატიოსნობაზედ, კეთილი ბოროტზედ, მაღალი გრძნობა ქვენა გრძნობაზედ, კაცის ღირსებაც დაცულია და არავის უფლება არა აქვს დაადაროს ამისთანა ადამიანი ავაზაკს, რომელშიაც უპატიოსნობა გამეფებულა, ბოროტს კეთილი დაუთრგუნავს და ქვენა გრძნობას დარჩენია ბურთი და მოედანი!..

„მე საზოგადოება პატიოსან კაცად მიცნობდა“, განაგრძობს იგივე გმირი! „მეც ვაფასებდი ამას და ვცდილობდი, რომ ეს სახელი შემრჩენოდა, თუ-კი რაიმე მხეცობა ჩემში არსებობდა, ვმალავდი; მეშინოდა რომ არ გამომჟღავნებულიყო და პატიოსან ადამიანის სახელი არ შემებლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორციელება დიდი და თვისი პირველი ნაბიჯი ჭიათურაში ერთ-კლასიანის სამრევლო სკოლის დაარსებით აღბეჭდა. მართლაც, „კავშირმა“ სამაგალითო საქმე გააკეთა და მრავალ სხვა კეთილ საქმესაც მიჰყოფდა ხელს, რომ ჩქარა არ ჩამქრალიყო. უბედურს ვარსკვლავზე დაბადებულს ამხანაგობას ერთობ ჩქარა მოეღო ბოლო. სკოლის შენახვა წლიწად ნახევარს თუ ორ წელს მოასწრო, შემდეგ-კი სწრაფად ჩაიყურყუმალავა ზარალის მორევში და ამითი ღრმა სათვლავი გაუთხარა როგორც ამ სკოლას, აგრეთვე სხვა პროექტებს.

„კავშირის“ დარღვევის შემდეგ სკოლა ჭიათურის საზოგადოებას ჩაჰბარდა, მაგრამ მან ვერაფერი სამსახური გაუწია. მას აქეთ ამ სკოლის ბედ-იღბალი ძალიან ცუდად მიდის, არც მთლად დაიკეტა და არც პირვანდელს მდგომარეობაშია. არის ასე სცოდავად. ხან ერთს სახლში გადაასკუპებენ, ხან მეორეში, ხან ერთს სერზედ გადაჰქვთ, ხან მეორეზედ, თითქო სულთმობრძავი ავადმყოფი იყოს და ჰაერის გამოცვლა ეჭირვებოდეს. სწორედ საკვირველის ღირსია ადგილობრივი საზოგადოება, რომ სხვის მიერ დაარსებულ საქმესაც ვერ გასძღოლია. ვერ დააფასეს სკოლის მნიშვნელობა მაშინ, როდესაც აქ სკოლა სანთლით საძებარია. გურიაში, თუნდა ქვემო-იმერეთში, დაბა დაბასა და სოფელი სოფელს ეჯიბრება სკოლების დაარსებით, აქ კი სულ სხვაა. ქვემო იმერეთში კერძო დაწესებულებას, როგორც ეს „კავშირმა“ ჩაიდინა, საზოგადოებისათვის სკოლა რომ დაეარსებინა, წახალისებული საზოგადოება ერთ-კლასიანს შემდეგ ორ-კლასიანად გადააკეთებდა, აქ-კი მზამზარეულსაც ვერ მოუარეს.

დღეს სკოლას არა აქვს რიგიანი შენობა, არა ჰყავს რიგიანი მასწავლებელი და ამ გარემოებათა გამო მოსწავლეთა რიცხვიც მცირეა. ვინც დადის, იმათაც სწავლაზედ გული აცრუებული აქვთ. რასაკვირველია ასეთს გარემოებაში მყოფი სასწავლებელი ან სულ არ მოიტანს სარგებლობას, ან თუ მოიტანს, ძალიან მცირეს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ზემო იმერეთში სწავლა განათლების წყურვილი ნაკლებადა აქვს ხალხს გამჯდარი ძვალ-რბილში. ჩვენის აზრით, ამის ერთს უმთავრეს მიზეზად შავი-ქვის წარმოება უნდა ჩაითვალოს, თანამედროვე ცხოვრებამ მოთხოვნილება გაუფართოვა, საშუალება კი არსად არის, თუ არ იშრომა. ამისათვის დიდი და პატარა შავ-ქვაზედ სამუშაოდ ეშურება. წამოიზრდება უმაწვილი თუ არა, სკოლის მაგიერ შავის-ქვის სამუშაოსაკენ აკრეფინებენ თავს, იქნება ერთი ორი გროში იშოვოს და სხვა-და-სხვა ოჯახის გარდასახადს გაუმდგე როგორმე. მადანში კარგად მუშაობა და ჩალვადრობა აქ გლეხკაცობის სატრფიალო საგანს შეადგენს. ვაჟი რომ გაუჩნდეს ვისმეს, მეზობლები მიულოცავენ, ღმერთმა კარგი ჩალვადარი გამოიყვანოსო. ამიტომაც რასაკვირველია, რომ ხალხი სწავლაზედ აღარ ჰკარგავს დროს და პირდაპირ ქვა-ნახშირისაკენ გარბის.

ამის გარდა, ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც სანთლით საძებარია სკოლები ჲ იქაც ლევიცკის „მუნჯი მეთოდია“ გამეფებული, რომლის წყალობით ბავშვებს შესაბრალისად აღმუილებენ. კარგს იზამდნენ ამ მეთოდის მიმდევარი მასწავლებლები, რომ ტფილისსა ან ქუთაისს, საზაფხულო პედაგოგიურ კურსებს დაესწრებოდნენ ხოლმე. იქ ადვილად შეეძლებათ სხვა-და-სხვა მეთოდის ერთმანეთთან შედარება და მაშინ ცხადად დარწმუნდებიან, რამდენად უვარგისია მუნჯი მეთოდი. მაგრამ ხათაბალაც ისაა, რომ უმეტესობას ეზარება კურსებზედ დასწრება და თითონაც იმდენად განვითარებულნი არ არიან, რომ თეთრი შავისაგან გაარჩიონ.

გერასიმე ბერიძე

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე შეუდგება იმის განხილვას, თუ საზოგადო დახმარების დაწესებულებათ რა შემოსავალი აქვთ და ან რა წყაროები ამ შემოსავლისათვის,

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ლიფლიანდიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებისათვის ნება დაურთავს, რომ ამ მიმდინარე წელს შემოდგომაზედ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაჰმართოს ქ. იურევში (დორპატში).

— რუსეთის ყველა სახელმწიფო რკინის გზებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მგზავრებს ზარალი ეზღოთ, როდესაც მათ მიერ სახალხო მატარებლით გაგზავნილი ბარგი თავისს დროზედ არ მივა დანიშნულს ადგილასა და დაწესებულს 48 საათს გადააცილებს მატარებლის მისვლის დროიდგან. ზარალის საზღაური იმავე რიგად მიეცემათ მგზავრებს, როგორც საქონლის მატარებლით გაგზავნილს საქონელზედ ეძლევათ.

— რკინის გზის ელექტრო-ტეხნიკოსთა მე-IV საბჭოს განსახილველად ოდესაში, სადაც კრება იქნება 15 სექტემბერს, ორი ახალი საკითხი კიდევ წარედგინებათ: ერთი იმის შესახებ, რომ სამგზავრო ვაგონები ელექტრონით იქმნას განათებული და მეორე იმისა, თუ რა გამაფრთხილებელი წესი უნდა იყოს შემოღებული ელექტრონის ძალით ვაგონების მოწყობის დროს.

— შინაგან საქმეთა მინისტრს ყველა გუბერნატორებისათვის წინადადება მიუცია, რომ ავის სენისა და სხვა მის გვარ ვენერიულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ერთად საგანგებო ბჭობა იქონიონ და განიხილონ ის დადგენილებანი, რომელიც უმაღლესად ნებადართულმა კრებამ შეიმუშავა რუსეთში ავის სენის მოსპობის წინააღმდეგ. აღნიშნულნი ბჭობანი განიხილვენ კრების მიერ შემუშავებულ შემდეგ საშუალებათ: დაარსდეს ხალხისათვის ხელმისაწვდენი სამკურნალო დახმარება; დაარსდეს მეთვალყურეობა ზნე-დაცემულ ქალთათვის, რომელნიც ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა შორის აღნიშნულს ავადმყოფობათ ავრცელებენ; რა საშუალება შეიძლება იღონონ სენის გავრცელების შესაფერხებლად და კერძო ქველმოქმედება რა შემწეობას აღმოუჩენს ამ საქმეს. ამ საქმის შესახებ მოსაზრებანი გუბერნატორების განმარტებასთან ერთად მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბერზედ გვიან აღარ უნდა იქმნენ წარდგენილი.

## უცხოეთი

**ავსტრი-უნგრეთი.** ჩვენ არა ერთხელა და ორჯელა გვქონდა ლაპარაკი ავსტრი-უნგრეთის შინაურს საქმეებსა და იმ აურ-ზაურის შესახებ, რომელიც იქ მინისტრ-პრეზიდენტის გრაფ ბადენის განკარგულებამ გამოიწვია. ისიცა გვქონდა მოხსენებული, რომ გრაფ ბადენმა კონფერენცია დანიშნა ჩეხელთა და გერმანელთა მოსარიგებლად, მაგრამ კონფერენცია არ შესდგა და ეს ორი ერი უწინდელებრ გადამტერებულ-შეურიგებლები დარჩნენო. ბადენმა ბევრი სხვა საშუალებაც იხმარა ამ საქმის მოსაწყობად, მაგრამ ნაყოფი არც ერთმა არ მოიტანა: გერმანელთ არ უნდათ შეურიგდნენ როგორც ჩეხელებს, აგრეთვე თვით გრაფ ბადენის, ვიდრე ენის შესახებ გამოცემული განკარგულება გაუქმებული არ იქმნება. აი ასეთს მდგომარეობაში იყო აქამდე შინაური საქმეები ავსტრი-უნგრეთში და გრაფ ბადენი დიდს გაჭირვებაში ჩავარდებოდა, ახალის საშუალებისათვის რომ არ მიემართა და იქ არ ეძებნა თავის ხსნა. აი ვითარება ამ საქმისა: შემოდგომა დადგა და პარლამენტის სხდომაც უთუოდ მალე დაიწყება. გაჯავრებული და გაბრაზებული გერმანიის დეპუტატები ყოველს საშუალებას იხმარებენ, რომ პარლამენტის საქმეთა მსვლელობა შეაჩერონ და შეაფერხონ. იმათ კიდეც გადასწყვიტეს, რომ ვიდრე მთავრობა არ განახორციელებს ჩვენს სურვილს, პარლამენტის საქმეთა წესიერ მსვლელობას ხელი შეუშალოთ და დაუსრულებელის სიტყვებისა და სხვა საშუალებათა წყალობით არც ერთის საქმის გადაწყვეტის ნება არ მივცეთო. უამისოდ კი სახელმწიფოს მმართვა-გამგეობა ყოვლად შეუძლებელია. პარლამენტი სახელმწიფოს უმთავრესს საქმეებს განაგებს და თუ მან თავისს დროზედ არ გადასწყვიტა ყველა საჭირო საქმე, სამინისტრო ხელ-შეკრული უნდა იჯდეს და ელოდოს, ვიდრე პარლამენტი თავისს განაჩენს დაადგენს. ამასთანავე ბევრი ისეთი საგანია, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა იქმნას განხილულ-გასინჯული, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია თვით სახელმწიფო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდეს. აი, ამისი ეშინიან გრაფ ბადენს და საერთოდ მთავრობას, რომლის წარმომადგენელიც ბადენია. სწორედ ამისთვის სცდილობდა გრაფ-ბადენი მოერიგებინა და შეეთანხმებინა გადამტერებულნი ერნი, რომ იმათ წარმომადგენლებს თანხმად ემოქმედნათ პარლამენტში და ერთმანეთში ბრძოლა არ დაეწყოთ. მაგრამ, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, შერიგებას არაფერი ეშველა. გრაფ ბადენს ერთი გზაღა რჩებოდა: დაენებებინა თავი გერმანელებისათვის და, იმათ ნაცვლად, ყველა სხვა დასები შეეერთებინა და თავისს მომხრედ გაეხადნა. ამ შემთხვევაში უმეტესობა მხარს მთავრობას დაუჭერს და მაშინ კი შესაძლებელი გახდებაო გერმანელების თავგასულის დეპუტატების ალაგმვა და პარლამენტის საქმეთა კანონიერი მსვლელობა. ბადენიც ასე მოიქცა. მან მოიწვია კომისია, რომელსაც უმრავლესობის, ესრედ წოდებულის „მემარჯვენეთა“ წარმომადგენელნი შეადგენენ და განუცხადა იმათ თავისი სურვილი. კომისიამ დიდის სიამოვნებით მიიღო მთავრობის წინადადება, მაგრამ თავისის მხრივაც მოსთხოვა მას ზოგი რამ. პარლამენტის „მემარჯვენეთ“ ავსტრი-უნგრეთის სლავიანთა სხვა-და-სხვა ტომის დასნი შეადგენენ. ყველა ამ დასების და საერთოდ სლავიანთა ტომების უმთავრესი სურვილი ის არის, რომ თავიანთ ერს ისეთივე უფლებანი მიანიჭონ

---

ლა, მაგრამ ფეხი გადამიბრუნა; სულ უბრალო შემთხვევამ გადმომაბრუნა და ყოველივე ჩემი დაფარული გამომჟღავნდა. რაც-კი მხოლოდ მე უნდა მცოდნოდა, ყველამ შეიტყო, და, რასაკვირველია, ზიზღით დამიწყო ცქერა; თითით საჩვენებელი გავხდი“... აქამდის როგორც ჰხედავთ, ყველაფერი ჩვეულებრივად ჰხდება და, დამნაშავე გულწრფელად აღიარებს რა თავისს დანაშაულს, ბრალს ყველაფერში თავისს თავსა სდებს, მაგრამ აქ უეცრად ერთს გადიხარხარებს ირონიულად და განაგრძობს დაცინვის კილოთი: „აღარც ერთი ხელს არ მაწვდიდა და იმანაც-კი, გეყურებათ, იმანაც-კი რომელსაც თაყვანსა ვსცემდი, ვაღმერთებდი, რომელიც მარწმუნებდა: „მიყვარხარო“, აღარ მიმიღო! ხა, ხა, ხა, გეყურებათ, აღარ მიმიღო. სულ უმნიშვნელო ჩემი მოქმედება და განზრახვაც-კი გადიდდა, მთად გარდიქმნა, და საზოგადოებამ ყიჟინა დამცა... იყიჟინე!.. მაფურთხე!.. ჩამქოლე!.. მაგრამ ერთ წამს შენი ზიზღი შეაჩერე და ოდნავ თვალი გადაავლე შენს ჯურღმულს! შენც უმანკოების ღვთაებავ, აგრე მოიქეცი და მხოლოდ მაშინ, თუ უცოდველი ხარ, ჩამქოლე.., ხა, ხა, ხა!.. განა მაგას გაჰბედავ?!. არა მგონია!..“

ერთის სიტყვით, ჩვენი გმირი იმეორებს იესო ქრისტეს სიტყვებს, რომელნიც მაშინ წარმოსთქვა, როცა მწიგნობართა და ფარისეველთ წარუდგინეს ცოდვილი დედა-კაცი და მისის ჩაქოლვის ნება სთხოვეს. „ვინ უცოდველ არს თქვენგანი, პირველად მათ დაუტევენ ქვაი მაგას ზედა“-ო, ჰბრძანა ქრისტემ და სამართლიანადაც ჰბრძანა, რადგან დამნაშავე ქვით-კი არ უნდა ჩაიქოლოს, არამედ იმისთანა გარემოებაში უნდა იქმნას ჩაყენებული, რომ კვლავ აღარ ჩაიდინოს დანაშაული, გასწორდეს, გაკეთილშობილდეს და გაპატიოსნდეს. თავისის სიტყვით გაასწორა კიდეც ქრისტემ აღნიშნული ცოდვილი დედაკაცი. მაგრამ ჩვენის გმირის ქვით ჩაქოლვა ხომ არავის განუზრახავს, რომ ასე აღშფოთებულია? იგი მხოლოდ აღარ მიუღიათ თვით საყვარელ არსებასაც-კი და საზოგადოებასაც ყიჟინა დაუცია. ჩვენ არ ვიცით, სამწუხაროდ, რა დანაშაული ჩაიდინა ჩვენმა გმირმა (ბ-ნ არაგვისპირელი ხშირად არ ამბობს იმას, რის თქმაც აუცილებლად საჭიროა და ამ ნაირად რაღაც გამოცანებს მოგვიძღვნის ხოლმე, რომლების გაგება და გამოცნობა შეუძლებელია), რომელი მცნებათაგანი დაარღვია, ხოლო თუ მართლა საშინელი რამ დანაშაული ჩაიდინა, რასაკვირველია, საყვარელი არსება აღარ მიიკარებდა და საზოგადოებაც განზედ გაუდგებოდა ამისთანა სულმოკლე ადამიანს, რომელსაც ვერ შესძლებია თავის მხეცურ მიდრეკილებათა დათრგუნვა. აკი ბოლოს თვითონაც აღიარებს ისევ, რომ არავითარი უფლება არა მაქვსო, ვინმე გავამტყუნოო? „საზოგადოება მართალია. ღირსეულად მაფურთხებს, მიყიჟინებს და ზიზღით მექცევა“, ამბობს ის: „სხვას რომ ჩემი საქმე დაჰმართნოდა, პირველად მე ვესროდი ქვას და ყიჟინას დავცემდი, თუმცა-კი, შეიძლება ამაზედ უარესი ვყოფილიყავი. ყველას უნდა უყიჟინონ, თუ-კი შეატყეს ვისმე. ყველა ღირსი იქმნება ამ სასჯელისა. ამ სასჯელს არავინ არ უნდა გაექცეს. მე-კი გაქცევას ვაპირობდი... თავის მოკვლაც განვიზრახე. მინდოდა სამუდამოდ მოვშორებოდი, გავქცეოდი ტანჯვას, მაგრამ ამ მშვენიერმა დილამ გონს მომიყვანა (კარგი იქნებოდა, ავტორს აეხსნა როგორ მოიყვანა დილამ გონს ჩვენი გმირი, თორემ ესეც რაღაც გამოცანას წარმოადგენს!) და დამანახვა ჩემი სიმხდალე (ესეც არ იქნებოდა ურიგო, გვეგვეგო, როგორ დაანახვა დილამ გმირს თავისი სიმხდალე?). დამნაშავე ვარ და ამისთვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოვალე ვარ უნდა ავიტანო და არა ვცდილობდე მის თავიდგან აცილებას. განა გამამართლებს თავის მოკვლა?! არა, ეგ უფრო გამამტყუნებს, ჩემს სიმხდალეს დაამტკიცებს. დამნაშავედ ვცნობ ჩემს თავს, და ამისთვის სასჯელის ატანაც უნდა შევსძლო... მე საზოგადოებაში ვცხოვრობდი, იმის აზრს ვაფასებდი, მინდოდა იმ საზოგადოებაში პატიოსან კაცის სახელი მეტარებინა და ამავე დროს-კი, გეყურებათ, უპატიოსნოდ ვმოქმედობდი. სიკეთეს სათვალსაჩინოდ ვაკეთებდი და იმას, რაც პატიოსან კაცის სახელს შეჰბღალავს, ვმალავდი, ეს ხომ უპატიოსნობაა, არა?!.. სულითა ჲ გულით უნდა პატიოსანი ვყოფილიყავი, დაფარული არა უნდა მქონოდა-რა, ჩემი ყოველივე უნდა ცხადი ყოფილიყო ყველასთვის და მაშინ ეს აღარ დამემართებოდა. ამისთვის ღირსი ვარ სასჯელისა. დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიჟინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დავბრუნდები!.. უკანვე დავუბრუნდები იმავე საზოგადოებას, აი ამ ნავთსადგურში მოვუცდი მეორე გემს და უკანვე დავბრუნდები, რომ ყოველ ნაბიჯზედ მაფურთხოს, მიყიჟინოს ამ საზოგადოებამ, ღირსი ვარ ამისა, ღირსი“!..

ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, მკითხველო, მშვიდობით დაბრუნება ვუსურვოთ ამ ვაჟბატონს თავის შემოისხველს საზეგადოებაში და რაკი ასე გულით უნდა, დეე, ყოველ ნაბიჯზე აფურთხოს მას საზოგადოებამ, რადგან მართლა რომ ღირსია იგი ამისი, როგორც უხასიათო, თავის საკუთარ აზრის არ მქონებელი, მდაბალი გრძნობის პატრონი და სხვა და სხვა...

დუტუ მეგრელი

(დასასრული იქნება)

ავსტრი-უნგრეთის სახელმწიფოში, როგორც გერმანელთ აქვთ, მოსპონ ერთს რომელსამე ტომის ბატონობა და იმის ნაცვლად ფედერატიული წესწყობილება შემოიღონ. აი, ამის განხორციელებას ადგანან ავსტრიის სლოვიანები და მუდამ ასეთის თხოვნით მიჰმართავენ ხოლმე მთავრობას. ეხლაც გრაფ ბადენს ეგევე მოსთხოვეს. რასაკვირველია, ერთბაშად ძნელია ამ საქმის სისრულეში მოყვანა, მაგრამ სწორედ აქ უნდა დაეხმაროს სლოვიანთა ბადენი და თანდათან ნიადაგი მოუმზადოს იმათის აზრის განხორციელებას.

## დამაკვირდი

მსოფლიოს ისტორია თან და თანი განვითარებაა თავისუფლების შეგნებისა.

ჰეგელი

* * *

- მეტად სასტიკი აღზრდა ბავშვებს შეშინებულ და დამფრთხალ მონებად გარდაქცევს.

პიერემონტი

* * *

რაც არ გითქვამს, იმის თქმას კიდევ მოასწრებ; ხოლო რაცა სთქვი, იმისი უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია.

ემირ-ხოსრო

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის ერთს საზოგადოებას განუზრახავს რკინის გზა გაიყვანოს სინაის მთაზედ. ამისათვის საჭიროა ნება-რთვა მისცეს ოსმალეთმა, რადგანაც, როგორც მკითხველს მოეხსენება, სინაის მთა ამ ჟამად ოსმალეთს ეკუთვნის. რკინის გზა გაივლის არაბეთზედ და პორტ-საიდის ნავთ-სადგურს შეუერთებს ქალაქ ბასორას, რომელიც სპარსეთის ყურეს ნაპირებზედ მდებარეობს. ელ-ტიროს სადგურიდგან გაიმართება ცალკე შტო. ინჟენრებმა უკვე გამოიკვლიეს, რომ რკინის გზის ლიანდაგი ამ მთაზედ მხოლოდ ერთის მხრით გაკეთდება. პირველი სადგური გამართულ იქნება ქვის ჯვართან, რომელიც ააგო იმპერატრიცამ ელენემ, იმპერატორის კონსტანტინეს დედამ. სწორედ იმ ადგილას, სადაც ღმერთმა ჩააბარა წინასწარმეტყველს მოსეს ათი მცნება. მეორე სადგური სწორედ იმ ადგილას გაიმართება, სადაც წინასწარმეტყველმა ილიამ რამდენიმე დღე და ღამე გაატარა მას შემდეგ, მტერს რომ გადაურჩა.

* * *

ნიუიორკის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ადრე თუ მალე თვით მავალი ეტლი ისე გამრავლდება, რომ მთელს ამერიკაში ცხენს არსად არ შეაბამენ ეტლშიო. ეხლაც თურმე ამერიკაში ცხენის ფასმა ისე დაიწია, რომ ზოგიერთ ალაგას საუკეთესო ცხენს 6 მანეთად ჰყიდიან და მუშტარი მაინც არსად არის. ასე ბრძანეთ, ვაშინგტონის შტატში 10,000 ცხენია გასაყიდი და არავინ ყიდულობს. რადგანაც ამერიკაში ამ ჟამად ცხენი თითქმის არაფრად არის გამოსადეგი, ზოგიერთ ალაგას ცხენები იხოცება. თურმე შარშანვე დაიწყეს ამერიკაში ცხენების ხოცვა და, ასე გასინჯეთ, ცხენის ხორცს გზავნიან ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ევროპის სახელმწიფოში.

* * *

ქ. ლილლის პასტერის ინსტიტუტის დირექტორს ექიმს კალმეტს გველის შხამის წინააღმდეგ წამალი მოუგონია. ამ წამლით თეთრი კურდღელი აუცრიათ და შემდეგ გველის შხამმა სულ ველარაფერი დააკლო თურმე, თუმცა იგივე შხამი უსიკვდილოდ არავის გადაარჩენს ხოლმე. აგრეთვე სხვა საქონელსა და კაცებზედ უცდიათ ეს წამალი და დარწმუნებულან, რომ იგი სამაგალითო რამ არის შხამის წინააღმდეგ. ეს წამალი შედედებული სისხლია და საჭიროა მხოლოდ რომ შედედებული სისხლის რაოდენობა ეთანხმებოდეს იმ ცხოველის წონას, რომელსაც უნდა აუცრან.

## ახალი წიგნი

ჩვენ მივიღეთ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოცემული ახალი წიგნი ი. ლ. სეგალისა „Обзоръ производительныхъ силъ Елисаветпольской губерніи“. წიგნის ავტორს აწერილი აქვს, თუ აღნიშნულს გუბერნიაში ხვნა-თესვა, თამბაქოსი და ბამბის მოყვანა, მევენახეობა, ღვინის დაყენება, მეაბრეშუმეობა, საქონლის მოვლა-მოშენება და სხ. რა მდგომარეობაშია. წიგნი შეიცავს 146 გვერდს და საშუალო ფორმატისაა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 სექტემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 204¹/₄ |
| 4¹/₂% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100¹/₂ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99³/₄ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¹/₂ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| … /₀ პირველი შინა…გან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 285¹/₄ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 245¹/₂ |

## უცნაური კილო პოლემიკისა ჩვენში.

ბ-ნ ბოცვაძის „მცირე შენიშვნის“ გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

სწორედ სრული ერთი წელიწადი იქნება, რაც დიდი ალიაქოთი და ვაი-ვაგლახი ასტეხა ჩემ მიერ შედგენილმა წიგნმა „ბავშვების მოკეთემ“. ინტერესი დიდი დაიბადა საზოგადოებაში. ბევრი მელანიც დაიხარჯა ამ წიგნის შესახებ წერაში და დღესაც ვერ გამოუკვლევია მკითხველებს,—რა უნდათ ჩემგან, რას მებრძვიან, მეკამათებიან? ჯერ იყო-და, როგორც გამოირკვა თვით ჩემის წერილებიდგან (იხ. წრევანდელი „ივერია“ და „კვალი“), ათასი რამ დასწერეს ჩემ ჯერედ გამოუქვეყნებელ ხელთ-ნაწერის შესახებ და ახლა-კი, როდესაც წიგნი გამოვიდა და შეიძლება შედარებითი კრიტიკა ორივე სახელმძღვანელოსი, მაინც მიჩხვლიტინებენ და საზოგადო ინტერესი-კი, ე. ი. წიგნის გარჩევა ისევ ისე რჩება და საქმე გაუთავებელი და გამოურკვეველი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი ახალგაზდა პედაგოგები სამართლიანად, საქმის დაკვირვებით გაგვირჩევდნენ ამ წიგნს და გადაწყვეტით გვეტყოდენ „ყოფნა, თუ არ ყოფნა ამ წიგნისა?“ მაგრამ მოტყუებული დავრჩით. ხმა ერთად-ერთმა ბოცვაძემ ამოიღო და ისიც ხმა საქმის გაურჩევლობისა. ბ-ნი ბოცვაძე ორს უმთავრესს ბრალდებასა სდებს ჩემს წიგნსა: 1) რომ 25 ნათარგმნია „როდნოესლოვო“-დგანაო და 2) წიგნი სიფრიფანას და ძალად გაბერილ კომპილიატიურ ნაწარმოებს წარმოადგენსო და ამისათვის არა ღირს ამისი გარჩევაო და სხვ. და აქვე აქებს და ადიდებს „დედა-ენას“, რომელშიაც, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ასზედ მეტი მოთხრობა და ლექსებია გადმოთარგმნილი. მართალია, მე ჩემი წიგნისთვის გადმოვაკეთე და გადმოვიღე I და II „როდნოე სლოვო“-დგან, კეთილმა კაცებმა ფრანგულიდგანაც მითარგმნეს სტატიები („მომრევს მომრევი არ დაელევა“, „პატარა წრუწუნა“, „ოთხი ნატვრა“, „თაფლოს ფეხსაცმელი“, „სამაგიეროს გადახდა“ და სხვ.), მაგრამ აქ რა არის ცუდი? და განა ურიგო სტატიებია გადმოთარგმნილი, ან გადმოკეთებული? აბა ერთი ნათარგმნი სტატია მაინც დამისახელოს ბ-ნმა ბოცვაძემ, რომელი ნათარგმნია შეუსაბამო ბავშვების ნორჩი ჭკუისათვის, რომელი ნათარგმნია, гдѣ бы не было истинно-дѣтской живости, задушевнаго веселія, порою юмора, иногда сердечнаго чувства въ картинныхъ описаніяхъ *). თუ კი სხვებს შეუძლიან თარგმნა ბავშვების წლოვანებასთან შეუსაბამო, ძნელად გასაგები და უშინაარსო სტატიებისა, რომლებიც „пахнутъ нѣмецкою мертвечиною, затхлымъ поученіемъ въ видѣ сентенцій, განა ნათაძეს აღარ შეეძლო თარგმნა იმისთანა მშვენიერი მოთხრობებისა, როგორიც არიან: „Ленивый и прилежный“, „Вмѣстѣ тѣсно, а врозь скучно“, „Мышка“, „Козлятки и волкъ“, «Столъ и стулъ» (II ნ. Р. С.), „Два плуга“, „Собака и корова“, „Два пѣтушка“, „Двѣ мышки“, „Ячмень и пшеница“, „Споръ деревьевъ“, „Умѣй обождать“, „Пчелки“, „При солнышкѣ тепло, при матери добро“ II ნ. Р. С.), „Школа и поле“ (Бунакова), „Воспоминанія дѣтства“ (II ნ. Р. С.), „Четыре желанія“ (ფრანგულიდგან ნათ. პ. მირიანაშვილისა), „უსუნო ყვავილი“ მისივე, „მომრევს მომრევი არ დაელევა“ (ლათინურ. ინასარიძისა), „სამაგიეროს გადახდა“, „თაფლოს ფეხსაცმელი“ ჯეჯილიდგან) და სასაუბროები, რომელზედაც გამოჩენილი რუსის პედაგოგი მირაპოლსკი სამართლიანად ამბობს: „Эти упражненія вызываютъ мысль дитяти на работу, изощряютъ его сужденія, наблюдательность, наконецъ, самую дѣтскую мысль. ბ-ნი ბოცვაძე კი გაიძახის „ბავშვების მოკეთეში“ 25 ნათარგმნია და, სხვათა შორის, ისეთი სტატიებიც-კი გადაუთარგმნიაო, როგორიც, მაგ. „Козлятки и волкъ“, „школа и поле“ არისო, რომლებსაც მთავრობაც ატოვებინებდა მასწავლებლებს, როცა „Родное Слово“-ს ასწავლიდნენ ჩვენს სკოლებშიო, რადგანაც ვერაფერ შესაფერ მასალას ვერ წარმოადგენენ ბავშვების გონების სავარჯიშოთაო“. სწორედ ამასა ჰქვიან საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. განა იმისთვის აკრძალა მთავრობამ ის სტატიები, ბ-ნო ბოცვაძე, რომ „ვერაფერ შესაფერისს მასალას წარმოადგენს ბავშვების გონების სავარჯიშებლად“? განა გაჰბედავს ვინმე და უშინსკის დაუწუნებს „Родное Слово“-ს რომელიმე სტატიას? თუ მთავრობამ აკრძალა ჩვენში ეს ზღაპარი, იმისთვის აკრძალა, რომ ამ ზღაპრის ენა მეტისმეტად ხალხურია და კავკასიელ ბავშვებისთვის გაუგებარი, თუმცა-კი შინაარსი მეტად მარტივი და ბავშვების გამტაცებელი. თქვენც სამართლიანად არა ხმარობთ „Р. С.“ I ნაწილს კავკავის სკოლაში და განა ამისთვის უფლება გაქვთ გაიძახოთ: მე იმისთვის არ ვხელმძღვანელობ „Р. С.“ რომ ეს არაფერს სავარჯიშებელ მასალას არ წარმოადგენსო? თუ იმას იტყვით, რომ ენა „Р. С.“ გაუგებარია ჩვენებურ ბავშვებისთვის. 2) წიგნი სიფრიფანას და ძალად გაბერილ ნაწარმოებს წარმოადგენსო და ამაზედ ლაპარაკი მეტად მიგვაჩნიაო, ბრძანებს ბოცვაძე, ცოტა ქვეით-კი გვპირდება: „ამ წიგნზე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი, როდესაც ბ. ნათაძე დაჰბეჭდავს მასწავლებლებისთვის სახელმძღვანელოსაო“. აი ამასა ჰქვიან ჩვენებურად კრიტიკა. ეხლა წიგნის შესახებ არაფერს ვიტყვით, არც სისტემაზედაო, არც არაფერს მასალის შესახებაო, არც არაფერ ანბანის განაწილებაზედ შესასწავლებლათაო და არც არაფერს სხვაზედა, რადგანაც წიგნი ცუდია იქამდის, რომ ახპატელოვის ანბანიც-კი სჯობიაო. მაგრამ როცა მასწავლებლებისთვის სახელმძღვანელო გამოვა, მაშინ უფრო საბუთიანად ვილაპარაკებო. აქ რა შუაშია მასწავლებლებისთვის სახელმძღვანელო წიგნი? განა ეს წიგნი რომ გამოვა, მაშინ გახდება „ბავშვების მოკეთე“ ღირსი თქვენი ყურადღებისა. იქნება არც-კი გამოვიდეს. თქვენ აქ საქმე საყმაწვილო წიგნთანა გაქვთ და, გლეხებისა არ იყვეს, უნდა „ქუდი დაგედო და სამართალი ისე გექნა“ ე. ი. მიუდგომლად, სამართლიანად ყოველ მხრივ გაგეშინჯათ წიგნი და ისე გადაგეწყვიტათ, რაც გადასაწყვეტი გქონდათ.

დასასრულ თავისი წერილისა მირჩევს თავი დავანებო სახელმძღვანელოს შედგენას და ბემესთანა პედაგოგიური წერილები ვთარგმნო. მადლობელი ვარ ამ რჩევისთვის, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდება, ბ-ნო ბოცვაძე, კრიტიკის წერას პედაგოგ ნაწარმოების შესახებ, მცირეოდენი მაინც პედაგოგიური ალღო უნდა, ბავშვების ძალ-ღონის განვითარების კანონების ცოდნა, ეს რომ გქონოდათ, დარწმუნებული ვარ, პირველი იტყოდით: პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო ცოტად თუ ბევრად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვების სულიერ ვითარება-ძალ-ღონეს, არ უნდა ცდილობდეს, როგორც ჩვენში ზოგიერთა სახელმძღვანელო, აუარებელი ანდაზების—გამოცანების—სენტენციების გაკვეთით ცალიერი მეხსიერების გახსნას მათში, არ უნდა ცდილობდეს დააჴშოს ნიჭი თავისუფალი აზროვნებისა, უნარი თვით-მოქმედებისა და სხვა. ეს რომ გეფიქრად, გარწმუნებთ, ჩემს სახელმძღვანელოში ღირსებასაც იპოვნით და თავიდგან აიცდენდით ყოველგვარ საყვედურსა.

ალ. ნათაძე

*) აქ პატივი მაქვს ვაცნობო მკითხველებს, რომ უმეტესი რიცხვი ამ ნათარგმნებისა ეკუთვნის სხვა პირთ და ამისათვის ნებას ვაძლევ ჩემ თავს ქებით მოვიხსენიო მათი ნაღვაწი. ა. ნ.


## განცხადებანი

### იმლევა ქირით

(ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში **ათი ოთახი**, წყლით, საბანებელით და სხვა მოწყობილობებით და ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

10—2

მაქვს პატივი ვაუწყო

**ბ-ნთ თამბაქოს პლანტატორებს, მეფაბრიკეთ და დაუჭრელ თამბაქოთი მოვაჭრეთ,**

რომ ახლად გავაღე ადგილობრივის

**დაუჭრელ თამბაქოს საწყობი**

ქ. ტფილისში, რიყეზედ, ქ-ნის ხოსროევის ქარვასლაში.

დავშთები პატივისცემით **შახნაზარ-ათაბეგიანცი**

(3—150—3)

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

**დამზღვევი საზოგადოება**

**„როსსია“**

(რუსეთი)

ს. პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, 37

**ძირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 მანეთი.**

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ საკუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, კაცთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელად, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეველნიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

1896 წლის 1 იანვრისთვის „რუსეთი“-ს საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა 41,397 კაცი 1(2,694,700 მან.

**დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოდ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებული იქმნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

**დაზღვევა გასაგზავნ საქონლისა**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გემებისა.

**განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიიღება** და **ყოველგვარი ცნობები** ეგზავნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37): **ტფილისის** განყოფილებაში (სერგეევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

**უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი ბილეთები მგზავრებს** როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ.

(6—147—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.